საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1680-02
07/07/2017

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის მინდობილი პირის 2017 წლის 5 ივლისის N1658-02 ბრძანების ბათილად გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, საფუძველზე, 2017 წლის 29 ივნისის N35/2497 მინდობილობის, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბათილად იქნას ცნობილი რექტორის 2017 წლის 5 ივლისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N1658-02 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს მოგვიანებით.
3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
4. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მინდობილი პირი